

ნარკოტიკული თრობის მოტივი და მისი სემანტიკა თანამედროვე  
სამეცნიერო-ფანტასტიკურ ნარატივში (ზურა ჯიშკარიანის *საღეჭი  
განთიადები უშაქროდ და ფილიპ დიკის ვალისი*)

იური ლომთათიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე იური ლომთათიძისთვის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

უცხო ენათა ფილოლოგია და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა  
(შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლევან ცაგარელი, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

ემღვნება ბაგების ლიტერატურული სკოლის წევრებს

დავით გაბუნias

ირაკლი მოდებამეს

მაგდა ბატიაშვილს

თამუნა ჭტოიძეს

თამუნა ჯიჯეიშვილს

თეონა თხელიძეს

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

იური ლომთათიძე

15.06.2018.

## აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომში განხორციელებულია სამეცნიერო ფანტასტიკური ჟანრის ორი რომანის — ფილიპ კ. დიკის *ვალისი* და ზურა ჯიშკარიანის *საღეჭი განთიადები უშაქროდ* — შედარებითი ანალიზი. ნაწარმოებები შედარებულია მათში ნარკოტიკული თრობის მოტივის სემანტიკური დანიშნულების გასარკვევად. ამისთვის გამოყენებულია ინტერტექსტუალობისა და თემატოლოგიის ფარგლებში შემუშავებული თეორიული მიდგომები.

გაანალიზებულ ტექსტებში ნარკოტიკული თრობის მოტივი წარმოდგენილია როგორც სამყაროს შემეცნების მეტაფიზიკური საშუალება. თრობის ამგვარი კონცეპტუალიზაცია არ არის ახალი; მას ჯერ კიდევ ფრიდრიხ ნიცშეს მიერ დამკვიდრებულ დიონისურ საწყისთან მივყავართ. ნარკოტიკული საშუალებების მეშვეობით ცნობიერების გაფართოებაზე XX საუკუნის სამოციან წლებში მსჯელობდა მწერალი და ფსიქოლოგი ტიმოთი ლირიც, რომლის სახელსაც უკავშირდება, ამ პერიოდში, ჰალუცინოგენური ნარკოტიკების მოხმარების „აფეთქება“.

ნაწარმოებების ანალიზის საფუძველზე წარმოჩნდა მთავარი განსხვავება ნარკოტიკული თრობის რეპრეზენტაციებს შორის ფილიპ კ. დიკისა და ზურა ჯიშკარიანის რომანებში. სახელდობრ, ჯიშკარიანის რომანისგან განსხვავებით, *ვალისში* თავს იჩენს დაეჭვება ნარკოტიკული თრობით მოგვრილი ჰალუცინაციების შედეგად ცოდნის მიღების მიმართ, რაც იმით შეიძლება აიხსნას, რომ დასავლურ ქვეყნებში ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების შედეგად მიღებულ ცოდნას არ აქვს ლეგიტიმაციის ის ხარისხი, რაც ქართულ აღქმაში. ამასთან, *საღეჭი განთიადებში* რეპრეზენტირებულია ერთი დამატებითი ლოკალურ-კულტურული ტენდენცია — საზოგადოების უარყოფითი

დამოკიდებულება სიახლის მიმართ, რითაც აღნიშნული რომანი სოციალურ-კრიტიკულ დანიშნულებას იძენს.

საკვანძო სიტყვები: *ნარკოტიკული თრობა, სამეცნიერო ფანტასტიკა, ზურა ჯიშკარიანი, ფილიპ კ. დიკი*

## Abstract

The master's thesis covers comparative analysis of two novels of the science fiction genre - Philip K. Dick's *Valis* and Zura Jishkariani's *Chewing Dawns: Sugarfree*. The novels were compared to determine the semantic purpose of (drug) intoxication. Theoretical approaches developed in the framework of intertextuality and thematology were used for this purpose.

In the analyzed texts the motives of intoxication are represented as metaphysical method for cognition of the universe. This type of conceptuality is not a novelty and can be found as early as in Friedrich Nietzsche's concept of Dionysian origin. In 1960s, writer and psychologist Timothy Leary, whose name is associated with "explosion" of consumption of hallucinogenic drugs in that period, discussed the expansion of consciousness through narcotic drugs.

Based on analysis of the works, the main difference was shown between psychedelic drug experiences in the novels of Philip K. Dick and Zura Jishkariani. Namely, unlike Jishkariani's novel, *Valis* demonstrates certain suspicion to the concept of acquiring knowledge as a result of drug hallucinations. This can be explained by the fact that in the Western countries the knowledge obtained by consumption of drugs has not such quality of legitimacy as opposed to Georgian perception.

In addition, a negative attitude of the Georgian society towards the novelty, as local-cultural tendency is highlighted in *Chewing Dawns*, which gives the novel a social-critical outline.

**Keywords:** *intoxication, science fiction, Zura Jishkariani, Philip K. Dick*